შინ და გარეთ - 3 ქულა

”შახტიორი” (დონეცკი) – ”დინამო” (თბილისი) 3:3 (3:1).

დონეცკი. ”შახტიორის” სტადიონი. 28 აგვისტო.

”შახტიორი”: დეგტიარევი, ვარნავსკი, სოპკო. პოკიდინი, პიანიხი, რუდაკოვი (მურავსკი), კუცევი, სოკოლოვსკი, პეტროვი (იაშჩენკო), იურჩენკო, გრაჩოვი.

”დინამო”: მჭედლიძე, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ანდღულაძე, დარასელია, სვანაძე (ჯოხაძე), სულაქველიძე, გუცაევი, ცავა (არზიანი), შენგელია.

მსაჯი: ა. ბოგომაზოვი (ფრუნზე).

დუბლიორები - 3:1 (თბილისელთაგან ბურთი გაიტანა უგრელიძემ).

გააფრთხილეს შენგელია.

წლევანდელი ”შახტიორი”, არსებითად სრულიად განსხვავებული გუნდია, რომლის ადრინდელი და ახლანდელი თამაშის შედარება არც შეიძლება. ჩვენ უკვე ვწერდით იმაზე, თუ რა მოხდა ამ გუნდში, რა მიზეზია, რომ დონეცკელი ფეხბურთელები ამჟამად სახიფათო ზონაში იმყოფებიან. ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ”შახტიორმა” ზედიზედ 3 გასვლითი მატჩი ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატში და სამივე წააგო, ამასთან ისე, რომ მეტოქეთა კარში არც ერთი ბურთი არ გაუტანია. უკვე მაშინ, როცა გუნდს საგანგაშო მდგომარეობა შეექმნა, დონეცკელებმა გამარჯვებათა გზით იწყეს სვლა, ბოლო 4 კალენდარული მატჩი მოიგეს და მხოლოდ ერთი წააგეს მოსკოვში, ”სპარტაკთან”, ისიც მინიმალური სხვაობით - 2:3. 8 ქულა 10 შესაძლებლიდან ეს ის ბერკეტია, რომელმაც მკვეთრად გააუმჯობესა გუნდის შანსები და, თუმცა, ”შახტიორს” დღესაც გადაჭრილი არა აქვს უმაღლეს ლიგაში დარჩენის საქმე, მაგრამ ადრინდელთან შედარებით იგი დიდად მომძლავრდა.

ყველაფერი ეს ცნობილი ამბავია, მაგრამ 28 აგვისტოს მატჩისთვის თბილისის ”დინამოსთან” მასპინძლებს კიდევ ორი მძლავრი სტიმული ჰქონდათ, რათა მაქსიმალური ძალით ებრძოლათ ახალი წარმატებისთვის: ჯერ ერთი 28 აგვისტო მეშახტეთა საკავშირო ზეიმია და მას დონეცკში ყველა საგანგებოდ აღნიშნავს, მათ შორის - ფეხბურთელებიც. მეორეც - ”შახტიორი” ამ დღეს უმაღლეს ლიგაში ატარებდა თავის მეათასე კალენდარულ მატჩს და, რა თქმა უნდა, ყველა სათანადოდ იყო განწყობილი საიუბილეო თამაშის მოსაგებად.

მატჩის დასაწყისი, მართლაც, მასპინძელთა საიუბილეო გეგმით მიმდინარეობდა, ისინი წინ იყვნენ ჯერ ანგარიშით 2:0, შემდეგ - 3:1. მე-11 წუთზე მასპინძლებმა შუა მინდორში კომბინაცია გაითამაშეს, სოკოლოვსკიმ გარღვევაზე გაიყვანა კუცევი და ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში. 4 წუთის შემდეგ კარგად ითამაშა იმავე კუცევმა, ზუსტად გადააწოდა გრაჩოვს და სტუმრების კარში მეორე ბურთი მოთავსდა - 2:0.

ეს პერიოდი, საერთოდ, უხვგოლიანი აღმოჩნდა, ვინაიდან მე-18 წუთზე დარასელიამ უნარიანად გამოიყენა დონეცკელთა დაცვის შეცდომა და საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ 31-ე წუთზე პოკიდინ-გრაჩოვის ორსვლიანი კომბინაცია მესამე გოლით დამთავრდა - 3:1.

თბილისელებს მდგომარეობის სახსნელად ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ მეორე ტაიმში და გუნდმაც დიდი ენერგიით, მონდომებით იბრძოლა. ტაიმის უმეტესი ნაწილი დინამოელთა შესამჩნევი უპირატესობით აღინიშნა.

მე-60 წუთზე ”შახტიორის” საჯარიმო მოედანზე წამით გაიხსნა ცავა, რომელმაც რთულ სიტუაციაში გაგზავნა მეორე ბურთი მასპინძელთა კარში, მერე კი, 66-ე წუთზე, დარასელიას გადაცემით კარგად ისარგებლა შენგელიამ და გაათანაბრა ანგარიში - 3:3.

ამის შემდეგ დინამოელთა წინაშე უკვე გამარჯვების პერსპექტივაც გამოიკვეთა, ბოლო წუთებამდე მინდორზე არ შეწყვეტილა შეუპოვარი ბროლა, თუმცა ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა, მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ჟიურიმ მიიჩნია ვ. დარასელია და მ. სოკოლოვსკი.

”ლელო”, 31 აგვისტო, 1982 წ.